საქართველოს კომუნისტური პარტია (ბოლშევიკების)

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

კვირა, 24 ოქტომბერი 1920 წ.

რედაქცია და კანტორა მოთავსებულია პასკევიჩის ქ. № 3 მეორე სართულში. თვიური ხელის მომწერთათვის გაზეთი ღირს 200 მან.

ფასი 10 მან.

№ 76 ყოველდღიური ორგანო საქართველოს კომუნისტურ პარტიის ცენტრალურ და თბილისის კომიტეტებისა. № 76

ეროვნული ბიბლიოთეკა

«...მე საკმაო ნათლად დავამტკიცე, თუ რამდენათ შეუსაბამოა ფედერალისტების პროგრამა საქართველოსთვის სწორეთ ეკონომიურის თვალსაზრისით. საქართველოს სახელმწიფოებრივობა, მასზე სამოქალაქო და სოციალურ კანონების დაკისრება ეწინააღმდეგება ერთის ეკონომიურ განვითარებას; საქართველოს ეკონომიური განვითარება მჭიდროთ არის დაკავშირებული ამიერ-კავკასიის, მთელი რუსეთის ეკონომიურ განვითარებასთან. ეს საანბანო რამ ავიწყდებათ ფედერალისტებს, ალბათ იმიტომ, რომ ისინი გახვეულ არიან გასულ საუკუნოების ბურუსში და სათანადო ანგარიშს ვერ უწევენ საამდროვო კითხვებს".

ან. ჩინ (აკ. ჩხენკელი). „ერი და ...ვენ", 1913 წ. გვ. 78.

## საშური საქმე

საბჭოთა რუსეთის ახალ წარმომადგენლის ჩამოსვლის გამო ქართველ მენშევიკების პრესსა ერთხელ კიდევ უბრუნდება საკითხს რუსეთ-საქართველოს საზავო ხელშეკრულობის აქამდის განუხორციელობის შესახებ. რასაკვირველია, „ერთობა-ბორბა" მთელს პასუხისმგებლობას წარბ შეუხრელად აკისრებენ საბჭოთა რუსეთს. მათი ფიცით და პირჯვრის წერის მიხედვით რუსეთი გაურბის ხელშეკრულების პირობების ასრულებას, მას არ მიუტოვებია აზრი და განზრახვა საქართველოს დაპყრობის, მისი ახლანდელი მთავრობის ძალდატანებით ჩამოგდების, მიუხედავათ იმისა, რომ ეს უკანასკნელი პირნათლად, სინიდისიერად და უკლებლივ ასრულებდა და ასრულებს ხელშეკრულებას და გულწრფელი მოსურნეა ამ ორ ქვეყნის ხალხთა შორის ძმური განწყობილების ჩამოგდების და განმტკიცების. ჩვენ არა ერთხელ აგვიხდია ფარდა ასეთ მოლაყეებისათვის, რომლების ფილოსოფია ვერ გასცილებია მეშჩანების პოლიტიკურ სიბრძნეს, და რომელიც გამოიხატება ჭეშმარიტ-ქართული ფორმულით: გაღმა შეედავე რომ გამოღმა შეგრჩესო, შეეცადე თავი უმანკო ბატკნათ მოაჩვენო გამვლელ-გამომვლელს, სხვა კი მხუნაგი მგლის როლში გამოიყვანე. მაგრამ ასეთ პოლიტიკოსობას შეიძლება მებაყლეების უბანში ქონდეს გავლენა და გასავალი და არა იქ, სადაც ამუშავებულია ოდნავ მაინც გონება, პოლიტიკური აზროვნება. ყოველ შემთხვევაში ასეთი ფარისევლური ფიცით, და გულში ხელის ცემით დღეს შეუძლებელია არა თუ დიდმნიშვნელოვან პოლიტიკური საკითხის გადაწყვეტა, არამედ მისი დაყენებაც კი. ჩვენი ქვეყანა ისეთ მდგომარეობაშია ჩავარდნილი, მისი მშრომელი მასსები ისეთ ჯოჯოხეთურ რკალში მოექცენ ყოველ მხრივ და წინ უდგათ კიდევ უარესი დღეები—რომ ასეთ დროს ცრუფიცით და გაძრომ გამოძრომის პოლიტიკით შველაზე ფიქრი ყოვლად შეუწყნარებელია თვით ქართველ მენშევიკებისთვისაც კი, რომლებმაც იმდენი გაძვრენ—გამოძვრენ ამ უკანასკნელ წლებში, რომ ფერისცვალობა—გახუნებასთან ერთად გამოეთხოვენ მთელს თავის იდეურ ბარგს და გაკოტრებული მევახშეს მზგავსად დღეს იძულებული არიან სჩხრიკონ ის თამასუქები, რომლებსაც თითონ არ სცნობდენ, გაბათილებულად თვლიდენ.

და მართლაც, ვინ უნდა დააჯერონ მენშევიკებმა იმაში, რომ საბჭოთა რუსეთს, რომელმაც მათ გრ. ურატაძის ხელით გამოუგზავნა ასეთი საპატიო ზავის პირობები, რომელმაც უყოყმანოთ არა თუ სიტყვიერათ იცნო, არამედ განახორციელა ხალხთა პოლიტიკური თვითგამორკვევის პრინციპი—ეს ჩაიდინა თვალთმაქცობით, ფარული ვერაგული განზრახვით, რომ არ შეესრულებია არც საზავო ხელშეკრულობა, არ ეცნო ის პრინციპი, რომელსაც თითონ შეასხა ხორცი, სინამდვილეში აქცია? ჩვენ ყოველთვის ვადევნებდით თვალყურს და ვეძებდით ისეთ ფაქტებს, რომელიც შორეულ საბუთად მაინც გამოადგებოდათ მენშევიკებს იმის საჩვენებლად, რომ საბჭოთა რუსეთი არღვევს ხელშეკრულობის პირობებს, მაგრამ არც ერთი ასეთი ფაქტი დღემდის არ ამოგვიკითხავს თვით მენშევიკების გაზეთებში. სამაგიეროთ საქართველოს ტერიტორიაზე ადგილი ქონდა მრავალ ისეთ ფაქტებს, რომელიც სრულიად აქარწყლებს ხელშეკრულების უმთავრეს მუხლებს და ფარატინა ქაღალდათ აქცევს მთელს ხელშეკრულებას ჩრდილოეთის პროლეტარულ რესპუბლიკასთან.

მაგრამ მიუხედავათ ამისა, მაინც არ არის დაგვიანებული, შესაძლებელია კიდევ საქმის გამობრუნება. დიდი საბჭოთა რუსეთი, სამშობლო 150 მილიონ მუშა-გლეხების, რომელთაც გადაუგდიათ კისრიდან და დაულეწიათ მონობის მძიმე უღელი, დავიწყებას მისცემს ყოველივე იმას, რაც უმგვანო ნაყოფი იყო ქართველ წვრილ ბურჟუაზიის გაძრომ გამოძრომის პოლიტიკის და რუსეთთან ხელშეკრულობის უარყოფის. ორივე მხარეს უდავო უფლება აქვს მოითხოვოს ამ ხელშეკრულების სასტიკი ასრულება თავიდან ბოლომდის; ასრულება პირდაპირი, ვაჭრუკულ ცუღლუტობას მოკლებული, ხელახალი გაძრომის ფიქრის უკუგდებით. არავითარი დაბრკოლება არ არსებობს ხელშეკრულების ასრულებისთვის, თუ კი ქართველ მენშევიკებს მართლა სწადიათ მტკიცე ზავი მუშურ გლეხურ რუსეთთან, და არა მხოლოდ ნავთის მიღება.

## საბჭოთა რუსეთის ახალი გამარჯვება

12 ოქტომბერს ლატვიის რესპუბლიკის სატახტო ქალაქ რიგაში ისტორიის კიდევ ერთი სისხლიანი ფურცელი დაიხურა.

ერთი მხრით რ. ს. ფ. ს. რ. და უ. ს. ს. ს. რ. წარმომადგენლებმა და მეორე მხრივ პოლონეთის რესპუბლიკისამ ხელი მოაწერეს დროებითი საზავო ხელშეკრულებას და პრელიმინალური ზავის პირბებს.

პოლონეთი იყო ერთად-ერთი მეზობელი დასავლეთით საბჭოთა რუსეთისა, რომელთანაც არ იქონა და არ მოეწყო ნორმალური მეზობლური დამოკიდებულება.

ზავი შეიკრა ესტონიასთან, ლატვიასთან, ლიტვასთან, ფინლიანდიასთან. მხოლოდ პოლონეთი იდგა განზე და ჯაჭვზედ მიბმული ქოფაკივით ღრინებოდა.

ყოველივე დათმობაზე წავიდა საბჭოთა რესპუბლიკა, რომ რითაც არ დაჯდომოდა, ეყიდა ზავი თეთრ პოლონეთთან.

„შინაური" კონტრ რევოლიუციის უმთავრესი ხელმძღვანელის — დენიკინის დამარცხების შემდეგ—საბჭოთა რესპუბლიკას განზრახვა ჰქონდა, უმთ. თავისი ძალები შინაურ შრომის ფრონტზე გაეგზავნა. განადგურებული წარმოების ფეხზე დაყენება და შემდეგ აყვავება—აი რა იყო უმთავრესი, დღიურ წესრიგში დამდგარი, გადაუდებელი ამოცანა საბჭოთა რუსეთისათვის. ამიტომ იგი ყოველი საშუალებებით ცდილობდა ახალი ომების თავიდან აცილებას.

წარმოუდგენელ დათმობებზე წავიდა საბჭოთა რესპუბლიკა, რომ პოლონეთთან ზავი შეეკრა. მაგრამ ეს არ მოხერხდა.

გათამამებული ანტანტის კაცი-ჭამია იმპერიალისტების მიერ აღთქმული დახმარებით და უმთავრესად საფრანგეთის „დემოკრატიული" რესპუბლიკის ბანკარების დაპირებებით, პოლონეთის პანებმა გრანდიოზული მიზანი დაისახეს: ევროპის კონტრ-რევოლიუციის დაცვა საბჭოთა რუსეთისაგან, უკანასკნელის საბოლოოდ განადგურებით.

რუსეთის დათმობები პოლონეთის პანებმა მას სისუსტეთ ჩამოართვეს.

დაიწყო ომი. საბჭოთა რუსეთი იძულებული შეიქნა კიდევ აელო ხელში თოფი და ხმალი. ჩვენ ვიცით, თუ რით დამთავრდა მარშალ პილსუდსკის ალვირ ახსნილ ლეგიონების „მედიდური" წინსვლა, კიევ ჟიტომირის აღება და ვიტებსმოლენსკისაკენ გალაშქრება, ჩვენ ისიც ვიცით, რომ წითელი არმიის გამარჯვებებით გამოწვეული, საბჭოთა რუსეთის მიერ დასახული დღიურ წესრიგში მიზანი - პოლონეთის თეთრი მთავრობის განადგურება და პოლონელ მშრომელთა განთავისუფლება, — განხორციელებული ვერ იქნა. ანტანტამ ბარონ ვრანგელის დახმარებით გადაარჩინა თავისი მორჩილი მონა დაღუპვისაგან. წითელი არმია იძულებული შეიქნა უკან დაეხია. პოლონეთის მთავრობამ სული ისევ მოითქვა, მაგრამ წითელი არმიის მიერ მიცემულმა გაკვეთილებმა—მას რამოდენიმეჯ ჭკუა ასწავლეს. პოლონეთის მთავრობამ აშკარათ დაინახა შემდეგი: 1) საბჭოთა რუსეთის დამარცხება მას არ შეუძლია, 2) შინაური მდგომარეობა ისეთია, რომ ომის გახანგრძლივება გამოიწვევს შინაური ფრონტის გაჩენას, 3) ანტანტა ვერ აძლევს მას საკმარის დახმარებას და 4) საერთაშორისო პროლეტარიატი აქტიურად უჭერს მხარს საბჭოთა რუსეთს. რიგაში საზავო მოლაპარაკება ამ მდგომარეობის გამოხატულებაა.

მინსკში მოლაპარაკება დაირღვა მაშინ, როდესაც საბჭოთა ჯარებმა ვარშავასთან დამარცხება განიცადეს. რიგაში მოლაპარაკება კი დამთავრდა საზავო ხელშეკრულობით, რადგან პოლონეთის მთავრობამ ომის პროცესში თვალსაჩინო გაკვეთილები მიიღო.

პოლონეთის მთავრობა იძულებული შეიქნა, მიუხედავათ საფრანგეთის ბურჟუაზიის ხრიკებისა და წინააღმდეგ მისი სურვილებისა, ზავით შეკროდა საბჭოთა რუსეთს; რა მოიგო პოლონეთმა ამ ომიდან? არაფერი. პირიქით—მან ბევრი რამ დაკარგა.

არც ერთი მის მიერ დასახული ომის მიზანი განხორციელებული არ იქნა.

საბჭოთა რუსეთი მას ომის დაწყებამდი გაცილებით უფრო მეტს უთმობდა, ვიდრე ეხლა მიიღო პოლონეთმა. იგი იძულებული შეიქნა ეღიარებინა საბჭოთა უკრაინის და საბჭოთა ბელორუსიის დამოუკიდებლობა. საბჭოთა ბელორუსია კი ომის ნაყოფია. რომ ომი არ ყოფილიყო, შეიძლება ბელორუსია პოლონეთის ხელქვეით დარჩენილიყო. პოლონეთმა იცნო დამოუკიდებლობა საბჭოთა რუსეთის მოკავშირის ლიტვის დემოკრატიული რესპუბლიკის. ომამდის კი თითქმის მთელი ლიტვა პოლონეთის მიერ იყო დაპყრობილი და სინამდვილეში არავითარი დამოუკიდებელი ლიტვა არ არსებობდა. ლიტვის დამოუკიდებლობა კი იმას ნიშნავს, რომ საბჭოთა რუსეთს ლიტვის საშუალებით გზა ეხსნება გერმანიისკენ, (აღმოსავლეთ პრუსიისკენ), რასაც დიდი პოლიტიკური და ეკონომიური მნიშვნელობა აქვს. პოლონეთის მთავრობა უარს აცხადებს პეტლიურას, ვრანგელის და სხვა კონტრ-რევოლიუციონური ორგანიზაციების დახმარებაზე. ესეც ომის ნაყოფია.

ტერიტორიის დათმობის მხრივაც, პოლონეთი უფრო მეტს ღებულობდა ომამდის, ვიდრე დღეს მიიღო. ერთი სიტყვით, არამც თუ ვერც ერთი დასახული მიზანი პოლონეთმა (და მის ზურგს უკან მდგომმა ანტანტის ბურჟუაზიამ) ვერ განახორციელა, არამედ, შედარებით იმასთან, თუ რა შეეძლო მას მიეღო, უომოთ, - ბევრი დანაკლისი ნახა.

მართალია დიდი მსხვერპლით, მაგრამ საბჭოთა რუსეთმა თავისი უმთავრეს მიზანს მაინც მიაღწია: დასავლეთის ფრონტზე მან მშვიდობიანობა ჩამოაგდო, და გაცილებით უფრო კარგ პირობებში ვიდრე ეს მოხდებოდა, ომი რომ არ ყოფილიყო. ეხლა საბჭოთა რესპუბლიკებს უკვე გახსნილი აქვთ ხელები ვრანგელის წინააღმდეგ. ყირიმის კონტრ რევოლიუცია მალე შავ ზღვაში პოვებს საუკუნო მოსვენებას...

საბჭოთა რუსეთი კი მთელი თავისი ძალებით ეკვეთება შრომის უსისხლო ფრონტს. პოლონეთის თავზე ხელაღებულ პანებმა რუსეთთან ომში თავისი ყველაზედ უფრო მჭრელი ეშვები ჩაიმტვრიეს.

რუსეთის მუშები და გლეხები კი ხელახლა დაუბრუნდებიან მიტოვებულ დაზგას და გუთანს.

ისტორიაში არ ნახული ენერგიის და თავგანწირვის გამომჩენი სისხლიანი ფრონტებზე, ისინი კიდევ უფრო მეტ ენერგიას და გმირობას გამოიჩენენ სოციალისტურ სამშობლოს აღმშენებლობით მუშაობაში.

ცალ ხელში თოფით და ცალ ხელში ჩაქუჩით—სდგას გიგანტი საბჭოთა რუსეთი და თავისი საუკეთესო შვილების ოფლით და სისხლით აშენებს მშრომელთა გრანდიოზულ სასახლეს—სოციალიზმს.

გაუმარჯოს მას!!.

ვ. ბახტიარი.

## აუცილებელი გზა

რაც უფრო დახლართულია საერთო მდგომარეობა, რაც უფრო ძნელი მისაგნებია მისი ძირი და მიზეზი, მით უფრო ადვილათ ურიგდება პრიმიტიული აზროვნება ყოველივე ზერელე შეხედულებას და ახსნა განმარტებას საინტერესო საგნის შესახებ. ეკონომიური კრახი, რომელიც ჩვენი ცხოვრების დღიურ წესრიგში დგას და დაუყოვნებლივ მოითხოვს საქმის ძირიანათ გამოკვლევას, შესაფერ ზომების მიღებას, ეს კრახი მმართველ წრეებში იწვევს მხოლოთ გარეგან ახმაურებას და უშედეგო ფართიფურთს. მთელი ყურადღება იქით არის მიმართული, რომ დააწყნარონ აღელვებული საზოგადოებრივი აზრი იმ წრეებისა, რომელთაც ყველაზე მწვავეთ ხვდება შექმნილი მდგომარეობა. აქედან წარმოსდგება ყველა უბედურობის სხვაზე გადაბრალება და თან ისეთი ზომების წამოყენება, რომლებიც, მართალია, არაფერს სცვლიან არსებითათ, მარა რაციონალურათ და მიზანშეწონილათ მოეჩვენებიან აღელვებისკენ განწყობილ ხალხის ნაწილებს.

კრიზისის მიზეზი წარმოების არევდარევაა, შრომის ნაყოფიერების დაცემაა. კრიზისის გასანელებლათ აუცილებელია წარმოების მოწესრიგება და პირველ ყოვლისა შრომის ნაყოფიერების აწევა. მაშასადამე,—დაასკვნიან მმართველი ჯგუფები—საჭიროა მუშებმა მეტი მუყაითობით იმუშაონ და მეტი ღირებულება შექმნან. ეს გამოასწორებს მთელ საქმეს.

ასეთი მსჯელობა სწორეთ იმიტომ, რომ ის ადვილ გასაგებია, ხიბლავს გულუბრყვილო მასსას და აიმედებს მას ახლო მომავალზე.

არ დაგიდევენ, თუ რანაირათ უნდა იმუშაონ მუშებმა მეტი ინტენსივობით, როდესაც საამისო ფიზიკური შესაძლებლობა მოსპობილია. როდესაც გუშინ დახარჯული ძალა და ენერგია ვერ აღუდგენია, როგორღა უნდა იმუშაოს მიმეტებული მხნეობით მუშამ დღეს და ან რა მოსაზრებამ უნდა ჩაუნერგოს მას ასეთი თავგანწირვა? რისთვის უნდა ეცადოს იგი მომეტებული ღირებულების შექმნას, როდესაც უკვე შექმნილი ღირებულებაც ისე ნაწილდება, რომ მის შემქნელთ სულ უფრო და უფრო მცირე ნაწილი ხვდებათ, ხოლო მუქთახორა კლასებს წინანდელზე უფრო მსუქანი ლუკმა უვარდებათ ხელთ და აგრე რიგათ არ განიცდიან შრომის ნაყოფიერების დაცემას. მუშაობის საერთო მოშლილ პირობებს შეგნებული მუშაობა გამოასწორებსო—ამბობენ და ამნაირათ აფუჩეჩებენ საგნის იმ მხარეს, რომელიც პოლიტიკურ ძალაუფლებას შეეხება.

სად პოლიტიკური ძალა უფლება და სად ეკონომიკა? ეკონომიკას მხოლოთ ეკონომიური ზომები მოაწესრიგებენ, ხოლო პოლიტიკურ სფეროში ჩვენ ბადალიც არსად გვყავს. ასე აყენებენ საკითხს საქართველოს მესვეურნი და კიდეც აღწევენ მათთვის არა სასიამოვნო საკითხის მიჩქმალვას.

მაგრამ საქმე იმაშია, რომ პოლიტიკური ძალა უფლება, პროლეტარიატის დიქტატურა მჭიდროთ არის დაკავშირებული იმ ეკონომიურ კატასტროფასთან, რომლიდანაც ჩვეულებრივი გზით გამოსვლა შეუძლებელია. ეს კატასტროფა წარმოშვა არსებული სამეურნეო ცხოვრების ანარქიულმა ხასიათმა იმ გარემოებამ, რომ იქ ადგილი არა ქონდა შეგნებულათ მოწესრივების გეგმას და ყველაფერი სტიქიონური აუცილებლობით სწარმოებდა. ახლა წინ დგება წარმოების შეგნებულათ მოწყობა, ადამიანის ნებით მის მოთხოვნილებათა თანახმათ შრომის და ნაშრომის გაწესრიგება და ასე საზოგადოებისათვის, საზოგადოებისავე შეგნებული ძალით საზოგადოებრივი მეურნეობის დამყარება.

სწორედ ეს ამოცანა შეუძლებელია გადაწყდეს თავისთავათ, თუ მთელ ცხოვრებას სათავეში არ ჩაუდგა ის კლასი, რომელიც ყველაზე უფრო მომზადებულია და თან ყველაზე მეტათ დაინტერესებულია ასეთი მეურნეობის მოწყობაში.

ეს კლასია პროლეტარიატი. მაგრამ მან რომ იკისროს ახალი ეკონომიკის მოწყობა, ამისათვის გზა უნდა გაიკაფოს ეკონომიკისკენ, რომელსაც დღეს სხვა ბატონ-პატრონი ყავს. ეს უკანასკნელი თავისი ნებით არ დასთმობს თავის ბატონურ როლს და მთელი ძალ-ღონითაც შებრძოლება წარმოების ახალი წესის დამყარებას.

მაშასადამე, სანამ ეკონომიური ცხოვრების მოწესრიგებას შეუდგებოდეს, პროლეტარიატმა ჯერ პოლიტიკური ბრძოლა უნდა გადაიხადოს თავის მტრებთან, სძლიოს ისინი, გამოგლიჯოს მათ ხელიდან ძალაუფლების იარაღი, შეკავშირდეს თვით შეიარაღებულ ძალათ და დაუზოგავათ დაახშოს მისი მტრების ყოველივე წინააღმდეგობა.

მართალია, ვარდით მოფენილი არ არის ეს გზა, მას შეიძლება ბევრი სისხლის ღვრაც მოყვეს, მაგრამ ამის მიზეზი ის არის, რომ გაბატონებული კლასები თავისი ნებით არ დასთმობენ თავის მდგომარეობას, რაც უნდა საზარელი კატასტროფაც დაატეხონ მათ მთელ ქვეყანას.

კატასტროფა აფხიზლებს მშრომელ ხალხს და აიძულებს მას მთელი სიგრძე—სიგანით დააყენოს ეკონომიური ცხოვრების შეგნებულათ მოწყობა—მოწესრიგების საკითხი და განახორციელოს ამის წინასწარი აუცილებელი პირობა—პროლეტარიატის დიქტატურა.

ეს საკითხი უნდა შეიქნეს საქართველოს მშრომელი ხალხის მთელი ყურადღების საგნათ. უამპირობოთ ყოველივე ცდა კრახის თავიდან აცილებისა იქნება უმიზნო დროს კარგვა და გამწვავებული მდგომარეობის კიდევ უფრო გამწვავება.

# ბიულეტენი პრესბიუროსი

**რ. ხ. ფ. ს. რ. წარმომადგენლობისა საქართველოში.**

### აღმოსავლეთის ფრონტი.

სომხებმა ალყა შემოარტყეს სოფ. ტონდაუს და ბუნარს, ყელები დასჭრეს მუსულმანებს, ბავშვებიც კი არ დაზოგეს. ასეთივე ამბებს ადგილი ჰქონდა ოლთისის ოლქშიც. ჩვენმა მამაცმა ჯარებმა ერთი შეტევით სარიყამიშის აღმოსავლეთ ნაწილამდის წინ წაიწიეს და გაანთავისუფლეს მუსულმანები. ჩვენ ხელთ დაგვრჩა 5 ზარბაზანი და 2 ტყვიის ფრქვეველი.

### ტრაპიზონის გუბერნატორის ქამიდ ბეის მოხსენება.

ტრაპიზონი, 15 ოქტომბერი. კლუბში „უფლებათა სავანეში“ ქამიდ ბეიმ ანგორის მდგომარეობაზე შემდეგი სიტყვა წარმოსთქვა:

ეროვნული საბჭო მოწოდებულია ითამაშოს დიდი როლი ჩვენი ქვეყნის ცხოვრებაში.

სტამბოლი მოკავშირეებს მონათ ჩაუვარდა. ასეთივე ბედი მოელოდა ანატოლიასაც: ამ ბედის ასაცილებლათ მოიწვიეს ეროვნული ყრილობა.

ყველა წევრი ყრილობისა აღვსილია ერთი სურვილით — ქვეყნის დაცვით. უთანხმოება მხოლოდ უმნიშვნელო საკითხებში არის ხან და ხან.

თქვენ შემეკითხებით მე, რატომ არ გვიერთდებიან ჩვენ ისინი, რომლებიც სტამბოლში ცხოვრობენ. დარწმუნებული იყავით, რომ მათი გული ჩვენთან არის, მაგრამ ისინი შეზღუდული არიან და ვერ გვიწვდიან ხელს.

ჩვენი წმინდა მიზნები არავის გულში ეჭვს არ იწვევს. ჩვენში განცვიფრებას იწვევს, როდესაც მოკავშირეებისგან გვესმის შენდობაზე ლაპარაკი; თითქოს სამშობლოს სიყვარული შენდობას მოითხოვდეს, როგორც შეცოდება რამ.

რაც შეეხება ფრონტს, ჩვენ უნდა ვაღიაროთ, რომ ბერძნებმა ისარგებლეს ჩვენი შინაური არეულობებით, რომელიც პროვოკატორებმა მოაწყვეს, და წინ წამოწევა მოახერხეს.

ჩვენ გვწამს, რომ ბერძნები არა თუ 60 ბატალიონით, არამედ ორი მილიონიანი ჯარით ანატოლიაში ვერას გახდებიან.

მეორე საკითხი, რომელიც ჩვენი ქვეყნის მკვიდრთ აინტერესებს, თუ როგორ უყურებს ჩვენი მთავრობა რუსეთის რევოლიუციას. ჩვენ ვთვლით მას მთელი ქვეყნის მხსნელათ, ვინაიდან იგი ებრძვის მთელი ქვეყნის იმპერიალისტებს.

ჩვენ შეგვიძლია ზოგიერთი მათი ლოზუნგებიც მივიღოთ, რომლებიც ჩვენ წეს-ადათებს არ ეწინააღმდეგება.

ეროვნულ ყრილობაში არიან ისეთი პირები, რომლებიც მზათ არიან ხელი შეუწყონ კომუნისტურ იდეების განხორციელებას, მაგრამ მთავრობა ხალხის მოთხოვნილებას გაუწევს ანგარიშს.

მთავარი ჩვენი მისწრაფება--დამოუკიდებლობის მოპოება.

დასასრულ, ქამიდ-ბეიმ სთქვა: „ჩვენ ვპირდებით აღმოსავლეთს, მაგრამ ვპირდებით დასავლეთსაც, და ოდესმე ევროპა შეიგნებს ამას და ყურად იღებს ჩვენს უფლებებს“.

### ამხ. ლეგრანის ჩასვლა ერევანში.

ერევანი, 2 ოქტომბერი. რ. ს. ფ. ს. რ. სრულუფლებიანი წარმომადგენელი სომხეთში ამხ. ლეგრანი ერევანში ჩასვლისთანავე პრემიერს ესტუმრა. მეორე დღეს სამშვიდობო მოლაპარაკებები დაიწყო.

დაშნაკელების ორგანო „არაჩი“, რომელსაც ჩვეულებრივათ მოჰყავს ბრალდებების მთელი რიგი საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ სომხეთის პოლიტიკაში, ეჭვებს გამოთქვამს რუსეთის შუამავლობით სომხეთ—ადერბეიჯანის უთანხმოებებს ბოლო მოეღოს. მაგრამ იმავე დროს იმედს არ ჰკარგავს, რომ მოხერხდება ზავის ჩამოგდება და სომხეთის ჩრდილო—აღმოსავლეთის საზღვრები უზრუნველყოფილი იქნება.

სომხეთის კადეტების ორგანო „ჟოგოვურდ“, ვრცელ წერილს ათავსებს ლეგრანის ჩამოსვლის გამო. სხვათა შორის, წერილში ვკითხულობთ: „სომხეთს არავითარ შემთხვევაში არ შეუძლია სევრის ხელშეკრულება უარჰყოს“.

გაზეთი დარწმუნებულია, რომ მთავრობა არ უღალატებს სომხეთის ხალხის მისწრაფებებს.

### „ჟოგოვურდის“ მოწოდება.

ერევანი, 22 ოქტომბერი. სახალხო დემოკრატების ორგანო „ჟოგოვურდი“ მოუწოდებს საქართველოს, დაღესტანის, ადირბეიჯანის და სომხეთის ხალხებს გარეშე საფრთხის წინააღმდეგ.

ეს მოწოდება ყველა ანტიბოლშევიკურ ძალების გასაერთიანებლათ, სომხეთის მმართველ დაშნაკელთა პარტიასაც ახასიათებს.

### იუსტიციის მინისტრის ჩილინგანიანის განცხადება.

ერევანი, 22 ოქტომბერი. ჩილინგანიანმა 10 ოქტომბერს თავის მოხსენებაში განაცხადა:

„ძალზე დასუსტებული, სხვის იმედის შემჩერე რუსეთი, როგორ ვიფიქროთ, რომ ჩვენს დახმარებას შესძლებს,—ეს ბავშური გულუბრყვილობა და სიბრიყვეა. ადერბაიჯანიდან ბოლშევიკების გასვლის შემდეგ, ძალა-უფლება მუსავატელების ხელში გადავა, ან ისეთ წრეების ხელში, რომლებიც მაინც ინგლისის ორიენტაციას ემხრობიან. ჩვენს აღმოსავლეთ საზღვრებზე ახალი მდგომარეობა შეიქმნება, რომელიც არ იქნება იმდენათ საშიშარი, რამდენათ საშიშარია ბოლშევიკური ადერბეიჯანის მუქარა.“

ანალოგიურ აზრს გამოთქვამს თავის ბროშურაში: „სომხეთი და ბოლშევიზმი“ რუბენ დარბინიანი.

### რას სწერს „არაჩი“ რუსეთ-პოლონეთის ზავის შესახებ?

ერევანი, 20 ოქტ. „არაჩი“ რუსეთ-პოლონეთის შეთანხმების გამო შიშს გამოსთქვამს. მისი აზრით, დასავლეთის ფრონტიდან ბოლშევიკები ოსმალეთთან შესაერთებლათ წამოიყვანენ თავის ძალებს, თუ ხელი არ შეუშალა ჩრდილო-კავკასიის აჯანყებამ და ვრანგელმა.

### იტალია და ქემალი.

ერევანი, 22 ოქტომბერი. „არაჩი“ იუწყება: 17 ოქტომბერიდან, რომ იტალიელები ფარულათ უწყობენ ხელს ქემალისტებს.

იტალიელების აგენტები ვითომ ტრაპეზუნდში და არზრუმში უნდა იყვნენ.

### უდროვოთ ზეიმობენ.

ერევანი, 20 ოქტომბერი. გაზეთ „არაჩ“-ს დაესიზმრა ვითომ ზანგეზურში სომეხ ადიცრის ხელმძღვანელობით აჯანყება მომხდარიყოს და ამის გამო დიდ კმაყოფილებას გამოთქვამს.

### კომუნისტების დევნა სომხეთში.

ერევანი, 22 ოქტომბერი, 17 ოქტომბერს სომხეთის საგანგებო სასამართლომ ნიკოლოოზ არუთინიანს კომუნისტის თავის ბინაზე შენახვისთვის სამი თვის ციხე მიუსაჯა და ნიკოლოზ გაბრიელიანს კომ. პარტიის წევრობისათვის 1 წლის ციხე.

### რუსეთთან დაახლოვება

ტრაპიზონი 10 ოქტომბერი. ოსმალეთის გაზეთი „ისტიკბალი“ სწერს:

„ჩვენ რამდენიმეჯერ ავღნიშნეთ, რომ რუსეთთან დაახლოვება შესაძლებელია წმინდა პოლიტიკურ ნიადაგზე.

ეს დაახლოვება ჩვენთვის ხელსაყრელია არა თუ ამ ჟამათ, მომავლისათვისაც.

რუსეთის აყვავება აღმოსავლეთზედაც დადებითად იმოქმედებს.

ამასთან ერთათ ახალი რუსეთი მტერია ინგლისის დღევანდელი პოლიტიკის.

ამ ორ სახელმწიფოთა ინტერესების შეხლა აღმოსავლეთში აუცილებელია.

აღმოსავლეთში რუსეთსა და ინგლისს შორის მარადის მეტოქეობა იყო, სანამ 1905 წელს პორტსმუტში გერმანიის შიშით არ მორიგდენ.

ამ უკანასკნელ ომის შემდეგ ინგლისის პოლიტიკამ გაიმარჯვა. ინგლისს სწყუროდა გერმანიის დამარცხება და რუსეთის დანაწილება. იგი ევლინებოდა აღმოსავლეთს სრულ ბატონ-პატრონათ.

არ არსებობს არც გერმანია, არც რუსეთი. საფრანგეთი ნებით თუ უნებლიეთ ინგლისს უჭერდა მხარს.

მაგრამ, აი იწყო რუსეთმა მოღონიერება და მდგომარეობა ძირბუდიანათ შეიცვალა.

ევროპაში წონასწორობის დარღვევის საფრთხე ისევ დაიბადა. ინგლისი შეუდგა ბოლშევიზმის წინააღმდეგ ბრძოლას. ბოლშევიზმში ინგლისი დღეს აშკარათ ხედავს თავისი მეუფების მესაფლავეს.

ყოველ შეხვედრაზე ანტანტის მინისტრებს ეს საკითხი ახსოვთ.

ბოლშევიზმის შიში აიძულებს ინგლისს მოიქრთამოს საბერძნეთი: გაადიდოს მისი ტერიტორია. არა უბრალოთ სთქვა ლოიდ-ჯორჯმა, რომ საბერძნეთის ომი ოსმალეთთან—ინგლისის ომია რუსეთის წინააღმდეგო.

ასეთ პირობებში შესაძლებელია და აუცილებელი რუსეთთან კავშირი.

რუსეთისთვის ხელსაყრელია ოსმალეთთან კავშირი, ვინაიდან ეს კავშირი

## კაპიტალისტური ქვეყნიერება და კომუნისტური ინტერნაციონალი

(მანიფესტი კომუნისტური ინტერნაციონალის მე-2 კონგრესის)

(დასასრული იხ. № 75)

კომუნიზმი ზიზღით შორს ისვრის პოლიტიკას, რომლის მიზანია უმოძრაობაში შეაკავოს მასსები მათი დაშინებით კონტრ რევოლიუციის კეტით.

იმ ქაოსს და დაქცევას კაპიტალისტური ქვეყნიერებისას, რომელიც უკანასკნელად ცდილობს ყველა თავისი ძალები მოიკრიბოს მთელი საკაცობრიო კულტურის გასანადგურებლად, კომუნისტური ინტერნაციონალი უპირდაპირებს საერთაშორისო პროლეტარიატის შეერთებულ ბრძოლას როგორც წარმოების საშვალებებზე კერძო საკუთრების მოსასპობად, ისე ნაციონალურ და მსოფლიო მეურნეობის ხელახალ მოსაწყობად ერთ მთლიან სამეურნეო გეგმისამებრ, რომელსაც უნდა აწესებდეს და ახორციელებდეს მწარმოებელთა სოლიდარული საზოგადოება. კომუნისტური ინტერნაციონალი, უყრის რა თავს მთელი დედამიწის ყველა ქვეყნებში მრავალ მილიონ მშრომელებს პროლეტარიატის დიქტატურისა და სახელმწიფოს საბჭოთა სისტემის დროშის ქვეშ, ბრძოლის ალში სწმენდს, აწყობს და აჯგუფებს თავის საკუთარ მწკრივებს.

კომუნისტური ინტერნაციონალი არის პარტია საერთაშორისო პროლეტარიატის რევოლიუციური აჯანყების. ის შორს ისვრის ყველა იმ ორგანიზაციებს და ჯგუფებს, რომლებიც აშკარა თუ ფარული ფორმით აძინებენ, რყვნიან და აუძლურებენ პროლეტარიატს, აიძულებენ რა მას ქედი მოიხაროს იმ ფეტიშების წინაშე, რომლებიც ფარავენ ბურჟუაზიის დიქტატურას: ლეგალიზმს, დემოკრატიას ნაციონალურ თავდაცვას და სხ.

კომუნისტურ ინტერნაციონალს არ შეუძლია აგრეთვე შეუშვას თავის წრეში ის ორგანიზაციები, რომლებსაც თავის პროგრამაში შეაქვთ პროლეტარიატის დიქტატურა და იმავე დროს აწარმოებენ პოლიტიკას, რომელიც აშკარათ შეფარდებულია ისტორიული კრიზისის მშვიდობიანათ გათავებასთან. საბჭოთა სისტემის აღიარება არ სწყვეტს საკითხს. საბჭოთა ორგანიზაციაში არაა ჩამარხული რაიმე სასწაულ მომქმედი ძალა. რევოლიუციური ძალა—თვით პროლეტარიატშია. საჭიროა, რომ ის აღსდგეს, აჯანყდეს ძალაუფლების დასაპყრობად,—მხოლოდ მაშინ გამოიჩენს საბჭოთა ორგანიზაცია თავის თვისებას, როგორც შეუდარებელი იარაღი მის ხელში.

კომუნისტური ინტერნაციონალი მოითხოვს გარიცხვას მუშათა მოძრაობის წრეებიდან ყველა იმ ბელადებისას, რომელთაც პირდაპირ თუ არაპირდაპირ აკავშირებს ბურჟუაზიასთან პოლიტიკური თანამშრომლობა. ჩვენ გვესაჭიროება ისეთი ბელადები, რომელთაც არა აქვთ ბურჟუაზიასთან არავითარი დამოკიდებულება, გარდა სასიკვდილო სიძულვილის, რომლებიც რაზმავენ ორგანიზაციურად პროლეტარიატს შეურიგებელი ბრძოლისთვის, რომლებიც მზათ არიან წინ გაუძღვენ ბრძოლაში აჯანყებულთა არმიას; რომლებიც არ შეჩერდებიან შუაგზაზე, რაც არ უნდა მოხდეს, და არ დაიხევენ უკან და უსასტიკესათ გაუსწორდებიან ყველას, ვინც შეეცდება ძალდატანებით მათ შეჩერებას.

კომუნისტური ინტერნაციონალი არის საერთაშორისო პარტია პროლეტარული აჯანყების და პროლეტარიატის დიქტატურის. მას არ აქვს სხვა მიზნები და ამოცანები, გარდა მუშათა კლასის მიზან-ამოცანებისა. კომუნისტურ ინტერნაციონალს თავისთვის უცხოთ და საწინააღმდეგოთ მიაჩნია უნიადაგო მისწრაფებანი იმ წვრილფეხა სექტების, თითეული რომელთაგანი აპირებს მუშათა კლასის შველას თავისებურათ. ის არ იგონებს უნივერსალურ რეცეპტებს და შელოცვებს, ის ეყრდნობა მუშათა კლასის მსოფლიო გამოცდილებას წარსულში და აწყოში, აცილებს ამ გამოცდილებას მის შეცდომებს და სწორი გზიდან გადახვევას, საყოველთაოდ ხდის მის მონაპოვარს, სცნობს და იშველიებს მხოლოდ იმ რევოლიუციურ ფორმულებს, რომლებიც მასსიური მოქმედების ფორმულებია.

პროფესიონალური ორგანიზაცია, ეკონომიური და პოლიტიკური გაფიცვა, ბოიკოტი, საპარლამენტო და მუნიციპალური არჩევნები, პარლამენტის ტრიბუნა, ლეგალური და არალეგალური ქგიტაცია, ფარული დასაყრდენი პუნქტები არმიაში, კოოპერატიული მუშაობა, ბარიკადა—არც ერთს ამ ფორმას ორგანიზაციისას და ბრძოლისას, რომლებიც გამოუმუშავებია მუშათა მოძრაობას, კომუნისტური ინტერნაციონალი არ უკუაგდებს, მაგრამ არც ერთს არ ნათლავს ის პანაცეიის სახელით.

საბჭოთა სისტემა განყენებული პრინციპი არ არის და კომუნისტები არ უპირდაპირებენ მას პარლამენტარიზმის პრინციპს. საბჭოთა სისტემა კლასიური აპარატია, რომლის დანიშნულება ბრძოლაში და ბრძოლის გზით გააუქმოს პარლამენტარიზმი და თითონ ჩადგეს მის ალაგას. კომუნისტური ინტერნაციონალი აწარმოებს რა დაუზოგველ ბრძოლას წინააღმდეგ რეფორმიზმისა პროფესიონალურ კავშირებში, წინააღმდეგ საპარლამენტო კრეტინიზმისა და კარიერიზმის, იმავე დროს კიცხავს მოწოდებას მრავალ მილიონიან პროფესიონალურ ორგანიზაციების მიტოვებისაკენ ან საპარლამენტო და მუნიციპალურ დაწესებულებების უარყოფისაკენ. კომუნისტები კი არ შორდებიან მასსებს, რომლებსაც ატყუებენ და ჰყიდიან რეფორმისტები და პატრიოტები, არამედ ამ უკანასკნელთა წინააღმდეგ აწარმოებენ შეურიგებელ ბრძოლას მასსიურ ორგანიზაციებში და დაწესებულებებში, რომელიც შეუქმნია ბურჟუაზიულ საზოგადოებას, იწარმოებენ ბრძოლას იმ მიზნით, რომ მით უფრო მალე და აუცილებლად დაამხონ ეს საზოგადოება.

იმ დროს, როდესაც მეორე ინტერნაციონალის საფარველს ქვეშ თითქმის მხოლოდ და მარტო ლეგალური კლასიური ორგანიზაციის და ბრძოლის მეთოდები ბოლოს და ბოლოს ბურჟუაზიის კონტროლის და ხელმძღვანელობისადმი დამორჩილებული აღმოჩნდა—მისი რეფორმისტული აგენტურის დახმარებით, რომელიც რევოლიუციური კლასზე დადებულ ლაგამის როლს თამაშობდა—კომუნისტური ინტერნაციონალი პირიქით გლეჯს ხელიდან ბურჟუაზიას ამ ლაგამს, ეუფლება მუშათა მოძრაობის ყველა მეთოდებს და ორგანიზაციებს რევოლიუციონური ხელმძღვანელობის ქვეშ აერთიანებს მათ და მათი საშუალებით პროლეტარიატს უყენებს საერთო მიზანს: ძალაუფლების დაპყრობს-ბურჟუაზიული სახელმწიფოს დასანგრევათ და კომუნისტური საზოგადოების დასამყარებლად.

მთელს თავის მუშაობაში: როგორც რევოლიუციური გაფიცვის ხელმძღვანელი, როგორც იატაკქვეშ მომქმედ ჯგუფების ორგანიზატორი. როგორც პროფესიონალური კავშირის მდივანი, როგორც აგიტატორი მასსიურ მიტინგებზე ან დეპუტატი, როგორც კოოპერატორი ან ბარიკადებზე მებრძოლი—კომუნისტი ყოველთვის თავის ალაგზეა, კომუნისტური პარტიის დისციპლინით გაჭედილი წევრია, თავდავიწყებული მებრძოლი, მოსისხლე მტერი კაპიტალისტური საზოგადოების, მისი ეკონომიური საძირკვლის, მისი სახელმწიფოებრივი ფორმების, მისი დემოკრატიული სიყალბის, მისი რელიგიის, მისი მორალის, თავზეხელაღებული ჯარის-კაცი პროლეტარული რევოლიუციის და დაუღალავი მახარობელი ახალი საზოგადოების.

მუშებო და მუშა ქალებო!

ქვეყნად არის მხოლოდ ერთი დროშა, რომლის ქვეშ ღირს ბრძოლა და სიკვდილი. ესაა დროშა კომუნისტური ინტერნაციონალის!

კომუნისტური ინტერნაციონალის მეორე მსოფლიო კონგრესი.

**დელეგატები**

რუსეთის—ნ. ლენინი, გ. ზინოვიევი, ნ. ბუხარინი, ლ. ტროცკი.

გერმანიის—პ. ლევი, ე. მეიერი, ია. ვალხერი, რ. ვოლფშტეინი.

ნემეც. ავსტრიის—კ. შტეინგარდტი, კ. ტომანი; შტრემერი.

საფრანგეთის—ა. როსმერი, ფ სადულ, ა. გილბო.

ინგლისის—ტ. კველჩ, უ. გალლაკერ, ს. პანხერსტ, მაკლეინი.

ამერიკის—ფლინი, ა. ფრეინა, ა. ბილან, დ. რიდ.

იტალიის—დ. სერრატი, ნ. ბომბაჩჩი, გრაციადეი, ა. ბორდიგა.

ნორვეგია—ია. ფრიის; შეფფლო, ა. მადსენ.

შვეციის—კ. დაჰლშტრემ, სამუელსონ, ვინბერგ.

დანიის—ო. იერგენსონ, მ. ნილსენ.

გოლანდიის—ვეიკოოპ, იანსონ, ვან-ლეივენ.

ბელგიის—ვან—ოვერსტრატენ.

ისპანიის—პესტანია.

შვეიცარიის—გერცოგ, ჟ. ემბერ-დროზ.

ვენგრიის—რაკოში, ა. რუდნიანსკი, ვარგა.

გალიციის—ლევიცკი.

პოლონეთის—მარხლევსკი.

ლატვიის—სტუჩკა, კრასტინი.

ლიტვის—მიცკევიჩ-კაპსუკას.

ჩეხო-სლოვაკიის—ვანეკ, გულა, ზაპოტოცკი.

ესტონიის—რ. ვაკმან, გ. პეგელმან.

ფინლიანდიის—ი. რახია, ლეტონმიაკი, კ. მანნერ.

ბოლგარიის—კაბაქჩიევი, მაქსიმოვი, შაბლინი.

სამხრეთ-სლავიის—მილკიჩ.

საქართველოსი—მ. ცხაკაია.

სომხეთის—ნაზარეტიანი.

ოსმალეთის—ნიხად.

სპარსეთის—სულთან-ზადე.

ინდიის—ატშარია, შეფფიკ.

გოლანდიის ინდია—მარინგ.

ჩინეთის—ლაუ სიუ-ჩჟაუ.

კორეის—პაკ დინშუნ, გიმგულინ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მთელი მუსულმანობის სიმპატიას უპყრობს რუსეთს.

აი რა აერთებს ამ ორ ხალხს და რათ ვიცავთ ჩვენ ამ კავშირს".

### ინდოელის სიტყვა ანგორაში.

**ანგორა**, 10 ოქტომბერი. ანგორაში მოვიდა ინდოეთიდან ერთი ცნობილი რევოლიუციონერი. მან შემდეგი სიტყვა წარმოსთქვა ეროვნულ ყრილობაზე:

„ინდოეთში, ინგლისის შემოსვლის შემდეგ, დაიწყო ურთი-ერთ შორის კინკლაობა, აჯანყებები, რომლებიც დღემდის გრძელდება.

ინგლისელები გვდევნიან, როგორც საბრალო მონებს. მდიდარი ქვეყანა მათ გაალატაკეს.

მათი სიმხეცის დასამტკიცებლათ ერთ მაგალითს მოვიყნან: რომ ბოლო მოუღონ ინდოეთში აბრეშუმის ამოღებას, მათ მუშებს ხელებზე ცერები დასჭრეს.

არიან ბევრი მოღვაწე;ბი, რომლებიც ინდოეთის განსათავისუფლებათ იბრძვის.

შევადაროთ ინგლისელების მოსვლის წინა ინდოეთი ახლანდელ ინდოეთს. წინათ ინდოეთში 80 ათასი სასწავლებელი ითვლებოდა, ახლა კი 80 არის.

ტრიპოლის ომის დროს ჩვენ დავრწმუნდით, რომ ინგლისი მუსულმანების შეურიგებელი მტერია.

უკანასკნელმა ომმა კიდევ უფრო დაგვარწმუნა ამაში.

მაგრამ ასეთ ვერაგობას ინგლისი სხვა ხალხებისადმიც იჩენს. მან წაართვა კალონიები ჰოლანდიას, ჩაითრია პრუსია ავსტრიასთან ომში და სხვა.

„ჩვენ, მიმართავს იგი ოსმალებს, — ვერ გამოვალთ დღეს თქვენთან ერთათ, მაგრამ დარწმუნებული იყავით, რომ მთელი ინდოეთის მუსულმანობა თქვენთანაა.

უკანასკნელ ხანებში ინდოელებმა გადაწყვიტეს: შესწყვიტონ ყოველგვარი ურთიერთობა ინგლისთან, ბოიკოტი გამოუცხადონ ინგლისურ საქონელ და არავითარი გადასახადები არ გადაიხადონ. თვითეული ინდოელი ვალდებულია, თუ იგი ინგლისელთა რომელიმე სამსახურშია, გამოვიდეს სამსახურიდან, წინაალმდეგ შემთხვევაში საზოგადოებიდან გამოირიცხება.

ჩვენ იმედი გვაქვს, რომ ყოველივე ეს დადგენილება ცხოვრებაში გატარდება და განთავისუფლდებით!"

### ცენტრალური ევროპის მდგომარეობა.

**სტამბოლი**, 12 ოქტ. ბერძნული გაზ. „ტროია" სწერს: „რარიგ იოლი და საამო იყო უწინ ცენტრალურ ევროპაში მოგზაურობა. არ იყო საჭირო არავითარი პასპორტი და სადამოჟნო დავიდარაბა. მშვენივრათ იყო მოწყობილ რკინის გზებზე ჰვლელობა· სასტუმროები და სხვა.

მაგრამ დღეს ცენტრალური ევროპა ცენტრალურ აფრიკაზე უფრო გაცუდდა. აივსო მთელი არე დამოჟნებით და დარაჯებით. დუნაის ხიდებზე გასვლა არ შეიძლება. ხიდეები მავთულის რკალით არის შეკრული; იქვე გააფთრებული დარაჯები დგანან, რომლებიც პატარა შეცდომასაც არავის აპატიებენ, ტყვიით არ ზოგავენ მგზავრს.

სრული ანარქიაა მატარებლების მიმოსვლაშიც. ლიანდაგზე ხშირათ ხდება მატარებლების შეჯახება. უბრალოთ შუაგზაზე აჩერებენ მატარებლებს. უკანასკნელ დროში, რადგან უნგრეთის მთავრობა დიდ რეაქციონურ პოლიტიკას აწარმოებს, ავსტრიის მუშებმა უნგრეთთან მიმოსვლა შესწყვიტეს, და მით მოსწყვიტეს უნგრეთი მთელს ქვეყანას. ვენიდან ბუდაპეშტში 18 საათის მგზავრობაა საჭირო.

პასპორტებს ყოველ წუთში მოგვთხოვენ. გიჩხრეკენ ჯიბებს, ნივთებს და არასფერს არ დაგიტოვებენ დაუბუჯურებელს. ყოველ ფეხის ნაბიჯზე უნდა შეცვალო ფულები, რომლის ფასი ძრთიანათ დაცემულია. შეკრგული პატარა ნივთის გადატანაში 50 კრონს არ სჯერდება.

საფოსტო აპარატი მთლათ საშინელ მდგიმარეო· ია. ვერასფერს ვერ გავზავნი ფო[illegible]ით, ნურაფერსსაც ნუ ელი.

ყოველგვარი კომერციული მოძრაობა იძულებულია საზღვრებზე ჩინეთის კედლებია აღმართული. აუცილებელი კატასტროფაა მოსალოდნელი.

### სოციალისტურ პარტიის თათბირი

**ათინა**, 13 ოქტ. საპარლამენტო არჩევნების მოახლოვების გამო ათინაში საბერძნეთის კომუნისტური პარტიის თათბირი მოხდა. თათბირმა პარტიის ცენტრალური კომისიის მოქმედება მოიწონა. მან მიმართა ყველა იაჩეიკებს და პარტიულ ორგანოებს ცირკულიარით, რომ დაიცონ მკაცრი დისციპლინა და დაუმორჩილონ ცენტრალური კომისიის განკარგულებებს.

### კომუნისტი კანდიდატები

**ათინა**, 13 ოქტ. პარლამენტის არჩევნებისთვის საბერძნეთის კომუნისტურმა პარტიამ შემდეგი კანდიდატები წამოაყენა: ზენაროია, არდიტი, პაპანიკოლაუ და სალონიკის გუბერნიიდან გეორგიადი და საროგლუ.

შემდეგ სხდომაზე დამატებით დაასახელებენ: დრამს, კავადიის, ლარისას, ტრიკალს და ახეონლიდს.

მესინიამ ერთი კანდიდატი წამოაყენა.

### რევოლიუციონური მოძრაობა ინგლისში.

**მოსკოვი**, 22 ოქტომბერი. ქვანახშირზე მომუშავეთა გაფიცვები ინგლისში თან და თან იზრდება, რომლის სუსხს უკვე გრძნობს მთელი მრეწველობა და ჩვეულებრივი ცხოვრება. ქვანახშირის უქონლობის გამო შეამცირეს განათება, დაითხოვეს 35 ათასი მუშა.

სამხრეთ ინგლისში იკეტება ქარხნები რკინის გზის მუშები თანაუგრძნობენ გაფიცულთ და თვითონაც გაფიცვებით იმუქრებიან.

### დამოუკიდებელთა პარტიის ქონება.

**ნაუენი**, 22 ოქტომბერი (რადიო). იმ ფინანსიური მდგომარეობის გამოსარკვევათ, რომელიც შეიქმნა პარტიაში რასკოლის შემდეგ, მემარცხენე დამოუკიდებლებმა დაადგინეს გაჰყონ პარტიული ქონება პროპორციონალურათ ორივე ფრაქციის წევრთა რიცხვისა. ვინაიდან გაზეთ „ფრეიჰეიტის" პაები თითქმის სულ მემარჯვენე ჯგუფის ხელშია, ამიტომ მემარცხენეებმა დაადგინეს თავისი ახალი პარტიული ორგანო.

### მთავრობა—სპეკულიანტი.

**ნაუენი**, 22 ოქტ. (რადიო). გაზეთი „ამსტერდამ ჰანდელსბლად" იტყობინება, რომ ნეიტრალური სახელმწიფოები, რომელთაც ქ. სპაში ხელშეკრულება არ ანიჭებთ გერმანიის ქვანახშირით სარგებლობის უფლებებს, ყიდულობენ საფრანგეთის მთავრობიდან მეტათ დიდ ფასებში ქვანახშირს, რომელსაც გერმანია საფრანგეთს აწვდის ხელშეკრულების თანახმათ.

### მუშათა კლასი და წითელი არმია

**მოსკოვი**, 22 ოქტომბერი (რადიო). გაზეთი „პრავდა" სწერს: „მიუხედავათ თეთრგვარდიელების ყოველგვარი უმზგავსო მოქმედებისა რუსეთის წინაალმდეგ მიუხედავათ მრავალნაირ უსაფუძვლო ჭორებისა, რომლებსაც რეაქციონურ მონარქიულ ბანაკიდან ავრცელებენ პროვოკატორები და ჯაშუშები; რუსეთის მუშები და გლეხები მედგრათ და პატიოსნათ დგანან ოქტომბრის რევოლიუციის მონაპოვართა დასაცავათ.

წითელი ფრონტის დამხმარე „კვირეულმა" გვიჩვენა ყველას, თუ რათდენ ძლიერი და დიადია რუსეთის მუშათა და გლეხთა მასებში ოქტომბრის გადატრიალების მნიშვნელობა· მთელი რიგი ფაქტებისა და ციფრებისა ამტკიცებენ ამის სიტყვებზე უფრო მჭერმეტყველურათ. გლეხები აგროვებენ წიმელი ფრონტისათვის თბილ ნივთებს, ქსოვენ ხელთათმანეას, შარფებს, ფუფაიკებს, უხვათ აძლევენ სანოვაგეს. მუშები ადიდებენ სამუშაო დღეს წითელი ფრონტის სასარგებლოთ, ყოველ დღიურათ თავის ჯამაგირიდან ნაწილს მას სწირავს და საერთოთ უკანასკნელ ლუკმა პურს სიხარულით უთმობს ფრონტს. იყო ისეთი შემთხვევები, როცა მუშები უარს ამბობდენ თავის ხვედრ სანოვაგისა და საგნების მიღებაზე ფრონტის სასარგებლოთ, აწყობდენ „შაბათობას".

ყველაფერი ეს კეთდებოდა სიყვარულით, აღფრთოვანებით და შეგნებით, რომ ყველაფერი ეს ძვირფასი წითელი ფრონტისათვისაა, რევოლიუციის მონაპოვართა დამცველთათვისაა. მით უფრო უკეთესათ ომობენ ჩვენი წითელი გმირები, როცა უფრო ფხიზელია მათი გონება და გამბედაობა, მით უფრო ნათელია მათი სურვილი გამორკვევისა. ზურგი უნდა იცავდეს ფრონტის ინტერესებს ისე, როგორიც ფრონტი იცავს ზურგს".

სტატიაში შემდეგ ნათქვამია: „საჭიროა გავაძლიეროთ წითელი არმიის ზურგის მუშაობა. ხელახელ ჩაკიდებული და მჭყობრი მეცადინეობით და მასიურათ მუშაობით ჩვენ უნდა შევუქმნათ სითბო და საჭირო თავშესაფარი ჩვენი ზურგის წითელ არმიელებს, რომლებიც მუდამ მზათ არიან დაიცვან მშრომელთა ინტერესები.

ზურგო! შენზეა დამოკიდებული ფრონტის გამარჯვება. მზრუნველობის ხელით ჩვენ უნდა შევამსუბუქოთ წითელ გმირების მძიმე მდგომარეობა.

### ქოფაკთა ბანაკში.

**მოსკოვი**, 22 ოქტომბ. (რადიო). გაზ. „იზვესტია" სწერს: „მიუხედავათ გაცოფებული ლტოლვისა, რათა გასჭყლიტონ სოციალისტური ქვეყანა, რეაქციონური სახელმწიფოები ამას მაინც ვერ ახერხებენ. ვერ ახერხებენ იმ შინაურ და გარეშე გართულებების გამო, რომელშიაც ისინი იმყოფებიან.

. . . გერმანია, მიუხედავათ თავისი შეთანხმების ბუნებისა, ვერც ხაბჭოთა რუსეთს ემხრობა და ანტანტასთანაც მისი ურთიერთობა თანდათან მწვავდება. შიგნით იზრდება რევოლიუციონური მოძრაობა. დამოუკიდებელთა შორის განხეთქილება, მათი უმრავლესობის კომუნისტებისაკენ გადასვლა, მშვენივრათ მოწმობს მუშების რევოლიუციონურ განწყობილებას გერმანიაში და ავსტრიაში. ამ სახელმწიფოების მდგომარეობა ისე კატასტროფულია, რომ ისინი არ იფიქრებენ ჩვენს მტრებს შეუერთდენ.

უნგრეთის მთავრობაც ვერაფერს გაბედავს 1) იმიტომ, რომ მუშათა შორის მოძრაობა ძლიერია და კომუნის ხსოვნა მათში ჩარჩენილია და 2) მეზობელ სახელმწიფოებთან გამწვავებული განწყობილება აქვთ.

შეერთებულ შტატებში, ბურჟუაზიულ წრეებს არა აქვთ ერთგვარი აზრი საბჭოთა რუსეთზე. იქედან არავითარი საფრთხე არ არის მოსალოდნელი. ბალკანეთის სახელმწიფოების და რუსეთის გარშემო არსებულ სახელმწიფოების მდგომარეობა იმდენათ აფუშულია და მათ მთავრობებს შინაური აჯანყებების ისე ეშინიათ, რომ იმათი თავდასხმა სრულიად არ არის მოსალოდნელი. ისინი გრძნობენ, რომ იმათი ამოქმედება რუსეთის წინაალმდეგ მათ მარცხს გამოიწვევს, მათ სრულს გაქრობას...

პოლონეთში გაჰქრა ის ერთსულოვნობა, რომელიც იყო რამოდენიმე თვის წინათ. გამრავლდა რუსეთთან ომის მოწინააღმდეგეთა რიცხვი. თან წინასწარი ზავის პირობები თავდებია იმისი, რომ ის ომს ჩვენთან არ გაანახლებს. შინაური მდგომიარეობა პოლონეთის პილსუდსკის ბატონობას ემუქრება. მუშათა გაფიცვები, გლეხთა მოძრაობა და სხვა მშფოთვარე მდგომარეობა პოლონეთს კრიტიკულ მრგომიარეობაში აყენებს, ასე, რომ რაცუნდა დიდი სურვილი ჰქონდეს საფრანგეთის ბურჟუაზიას რუსეთთან ომის, პოლონეთი ჩვენთან ომს არ მოინდომებს, ვერ გაბედავს.

დიდი ინგლისი იმდენათ დამოკიდებულია შინაურ და ინდოეთში მოსალოდნელ აჯანყების შიშზე, რომ ისაც ვერ გაბედავს ცეცხლით თამაშს. ქვანახშირზე მომუშავეთა საერთო გაფიცვები, რაც მრეწველობის სხვა დარგებშიც გადადის, იქნებ სანაწერო მომენტი გამოდგეს „ვეებერთელა სახელმწიფოს" არსებობისთვის. ბალტიის ზღვიდან სამხედრო ფლოტის გაწვევას რუსეთ—პოლონეთის ომის გათავებით ხსნიდენ, მაგრამ სინამდვილეში—კი ეს ფლოტი „აჯანყებულ მონების" დასაწყნარებლათ უნდათ. მუშებს უპირებენ თექვსმეტ დიუმიან ზარბაზნებით დაწყნარებას.

ერთად ერთი მანუგეშებელი და დამხმარე თეთრგვარდიელებისა, რომლებიც ებრძვიან საბჭოთა რუსეთს, არის ამ ჟამათ „დემოკრატიული საფრანგეთი". მაგრამ არც საფრანგეთის მდგომარეობაა სახარბიელო. მისი და ინგლისის მდგომარეობა გამწვავებულია წითელი ჩინელები ყოველმხრივ აცივა საფრანგეთს: აღმოსავლეთიდან — გერმანიიდან, იტალიიდან, ჩრდილოეთიდან"...

წერილის დასკვნა ასეთია: „ჩვენ ვიხელოებთ მოსვენებას მთელ ბურჟუაზიულ ქვეყნების არეულობის გამო. ამისთვის უნდა შევამუსროთ თვით მპყრობელი ვრანგელი, რომლის ზურგს რეაქციონური საფრანგეთი ამოდგომია. ვრანგელის დამარცხება იქნება ხიდი მშვიდობიან აღმშენებლობითი ცხოვრებისა.

### ჩიტის აღება

**მოსკოვი**. 23 ოქტომბერი. ვერხნეუდისკიდან ჩიტის დაცემის შესახებ შემდეგ დაწვრილებითი ცნობებს გადსოგვცემენ: „აჯანყებულთა სალტე სემიონოვის საბძანებლის გარშემო თანდათან ვიწროვდება. აჯანყებულებმა ვერხნეუდინსკი აიღო. სემიონოვის ნაწილები უწესრიგოთ იხევენ სამხრეთით, მოძრაობა იზრდება".

## უკანასკნელი ცნობები

### სამხ. ოპერატ. 22 ოქტომბრის რადიო-ცნობა რესპუბლიკის „რევოვენსოვეტის" საველე შტაბისა.

### მოსკოვი, 21 ოქტომბერი.

### ყირიმის ფრონტი.

ხერსონ - ალექსანდროვ - მარიუპოლის ფრონტზე აქა იქ მზვერავთა მოქმედებაა.

### რევოლიუცია მექსიკაში.

**მოსკოვი**, 22 ოქტომბერი. კომუნისტური მოძრაობა ევროპიდან ამერიკაშიც გადავიდა. მექსიკაში ძლიერი რევოლიუციონური მოძრაობა დაიწყო. თვით მექსიკის სატახტო ქალაქში მოეწყო ახალი რევოლიუციონური მთავრობა. საკანონმდებლო პალატის წინ აღმართულია წითელი დროშები.

### წითელმა პარტიზანებმა ჩიტა აიღეს.

**მოსკოვი**. 22 ოქტომბერი. უკანასკნელი ბურჯი შორეულ აღმოსავლეთის რეაქციისა ჩიტა უკვე დაეცა. იგი წითელმა პარტიზანებმა დაიკავეს. დაიმსხვრა ვრანგელის იმედი შორეულ აღმოსავლეთზე. თავისუფალი შორეული აღმოსავლეთი რევოლიუციონურ სალამს უგზავნის წითელ მოსკოვს.

### სემიონოვის გაქცევა.

**ვერხნეუდინსკი**, 21 ოქტომბერი. ჩიტა წითელმა პარტიზანებმა აიღეს. სემიონოვი მიიმალა სამხრეთით, თან წაიღო ოქროულობა.

### რევოლიუციონური ირლანდიის ჩაქუსვლა

**მოსკოვი**, 22 ოქტ. ინგლისის მთავრობა საარაკო სისასტიკით ებრძვის ირლანდიას, რომელსაც სურს თავი გაინთავისუფლოს ჩაგვრისაგან.

## ახალი ამბები

— **პრესის თავისუფლებაა?** 22 ოქტომბერს, დღის 1-ნახევარ საათზე, სოლოლაკის ქუჩაზე, საგანგებო რაზმის აგენტებმა დააპატიმრეს ჩვენი ამხ. გიორგი კალანდაძე, რომელიც გუშინ უკვე გაგზავნეს მეტეხში. ის ასრულებდა შიკრიკის მოვალეობას რუსულ და ქართულ „კომუნისტის" რედაქციაში. დაპატიმრების დროს მას თან ჰქონდა დასაბეჭდათ გამზადებული გაზეთების მასალები, რომელიც მიჰქონდა სტამბაში. ჩვენს შეკითხვაზე, თუ რატომ არ აბრუნებენ მასალებს, პასუხათ მივიღეთ: მასალები საგანგებო რაზმის ერთ-ერთ თანამშრომელთაგანმა წაიღოვო. ასეთია ჩვენი პრესის „თავისუფლება".

— **ახალი ხოფლის უბანი.** (ეს უბანი ქ. ფოთს აკრავს სამხრეთით). გაზეთ „ერთობის" კორესპონდენტი ამ უბნის მდგომარეობის შესახებ შემდეგს იტყობინება: „ამ უბნისთვის ქალაქს არც ძველათ და არც ახლა ყურადღება არ მიუქცევია. ამათ არ აქვთ არავითარი კულტურული დაწესებულება: არ მოიპოვება მთელს უბანში არც ერთი გზა, რომლითაც ხალხს შეეძლოს წვიმის დროს ფეხზედ ჩაცმული გავლა. არავითარი არხები არ არის აქ გაყვანილი და თუ ვინიცობაა წვიმა მოვიდა, დიდი ხნით გუბეები დგება, რაც ჰაერსა სწამლავს და ათას გვარი ავათმყოფობის გავრცელებას ხელს უწყობს. თუ ექიმის მოყვანა უნდა ვინმეს, იძულებულია გამოდარებას მოუცადოს და წყლის დაშრობას, რომ ეტლს შეეძლოს გავლა. ამ ლოდინში კი ავადმყოფი ან რჩება უექიმოთ, და ან ესალმება წუთისოფელს. ყოველივე ზემოთაწერილ გაჭირვების გამო ხალხს მოთმანების ფიალა აევსო და ქალაქის თვითმმართველობისადმი უკმაყოფილებამ თავი იჩინა".

— **პროფესიონალურ კავშირთა სეკრეტარიატში.** პროფ. კავშირთა საბჭოს სეკრეტარიატმა ოქტ. 21 სხდომაზე განიხილა რა პროექტი შრომის ბეგარის შესახებ, მიუღებლად სცნო ამ კანონპროექტის ძირითადი პრინციპი. სეკრეტარიატი კანონ-პროექტის გადამუშავების მომხრეა.

— **წისქვილების მოსამსახურენი.** საბჭოს სეკრეტარიატმა თავის ინსტრუქტორებს მიანდო, გამოარკვიონ, თუ რომელ კავშირში უნდა შევიდენ წევრად თბილისის წისქვილებში მომუშავენი და მოსამსახურენი.

## დეპეშები

### სპარსეთის ამბები.

**ლონდონი**. თავრიზის ახალ გუბერნატორად დაინიშნა მუხბარ ას-სულთანი, მაგრამ იგი ქალაქში არ შეუშვეს, „ტაიმსის" ცნობით, მუხბარს მიშველებია თავისი რაზმი. სროლით მოუკლავთ 50 კაცი, მათ შორის დემოკრატიულ პარტიის ლიდერი, ქალაქის ყოფილი დიქტატორი. დაუჭრიათ 7 კაცი. ბრძოლის შემდეგ თავრიზი მუხბარს დაუკავებია. (ს. დ. ს. ს. გ.).

### რესპ. პარტიის პრეზიდენტის კანდიდატის პროტესტი.

**ნიუიორკი**. რესპუბლიკანურ პარტიის პრეზიდენტის კანდიდატმა სენატორმა გარდინგმა ამერიკის მოქალაქეთ მიმართა დეკლარაციით, სადაც კატეგორიულ პროტესტს აცხადებს ევროპის, აფრიკისა და აზიის საქმეებში ამერიკის ჩარევის გამო. (ს. დ. ს. ს. გ.)

### უმუშევრობა იზრდება

**ბერლინი** ოფიციალური ცნობით გერმანიაში უმუშევართა რიცხვი 419,000 აღწევს, ამათში 312,000 მამაკაცია. (სად. ს. ს. გ.)

### სანოვაგის ფალსიფიკაცია.

**ლონდონი**. ინგლისის პრესა იუწყება, რომ მეტად განვითარდა სანოვაგის ფალსიფიკაცია. (ს. დ. ს. ს. გ.)

### ტირალის გლეხთა სახალხო კავშირი გერმანიასთან შეერთებას მოითხოვს.

**ციურიხი**. ციურიხის პრესა იწყება: ტიროლში არსებულმა გლეხთა სახალხო კავშირებმა გადასწყვიტეს საჩქაროთ მოითხოვონ გერმანიასთან შეერთება. (ს. დ. ს. ს. გ.).

### ლოიდ-ჯორჯის მცირე ანტანტის დაარსებას იწონებს.

ტაგიონესკო დიდხანს ესაუბრა ლოიდ-ჯორჯს, რომელმაც მოიწონა მცირე ანტანტის დაარსება. საფრანგეთისა და ინგლისის დამოუკიდებელის შესახებ ლოიდ-ჯორჯმა განაცხადა: ჩვენ ამჟამად უფრო მტკიცე მეგობრული კავშირით ვართ შეერთებული, ვიდრე ოდესმე ვიყავითო. (ფ. პ.)

### პანების მთავრობა ფარისევლობს.

„პტი პარიზიენი" სწერს: პოლონეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა გამოგზავნა პასუხი საფრანგეთ-ინგლისის იმ კოლექტიურ ნოტაზე, რომელიც ვილნოს ინციდენტს შეეხებოდა. პოლონეთის მთავრობა აცხადებს რომ მას არ დაურღვევია ლიტვასთან დადებული დროებ. პირობები და პასუხს არ აგებს იმ მოქმედებაზე, რომელიც გენერალ ზელიგოვსკის ურჩმა ჯარებმა ჩაიდინეს. პოლონეთის მთავრობა კიცხავს ზელიგოვსკის მოქმედებას, ამას გარდა პოლონეთის მთავრობა აცხადებს რომ ის დიდის პატივისცემით ეპყრობა ერთა ლიგის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს, რომ მან გადასწყვიტა დაიცვას დროებითი ზავის პირობები, ის საუკეთესო დამამტკიცებელი საბუთი არი პოლონეთსა და ლიტვის შორის უკვე დაწყებული ტყვეების გაცვლა-გამოცვლა. (ფრ. პრ.)

### აიცილებენ კი თავიდან რევოლიუციას?

**რომი**. „ტრიბუნალი" იუწყება: მინისტრთა საბჭოს სხდომაზე იმსჯელეს პოლიტიკურ მდგომარეობის შესახებ და განსაკუთრებული ყურადღება მიაქციეს მუშათა საკითხს. მთავრობამ გადასწყვიტა მწარმოებელთა და მუშათა შორის კონფლიქტის გადაწყვეტაში აქტიურად არ ჩაერიოს, მაგრამ ამასთანავე დაადგინა, არ დაუშვას უწესრიგობა, თუ ამ კონფლიქტმა საშიში ხასიათი მიიღო. (ს. დ. ს. ს. გ.).

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველოს მუშა-ქალთა ფურცელი № 3

## ყველა ქვეყნის მუშა ქალებს

მუშა ქალთა პირველმა საერთაშორისო კონფერანციამ მიმართა მოწოდებით მთელი ქვეყნის მშრომელ ქალებს, რათა ჩაეწერონ თავიანთ ქვეყნის კომუნისტურ პარტიებში.

„თქვენ ეხლა ხან იყავით მოწამენი იმპერიალისტურ სასაკლაოს საშინელებების; თქვენი ქმრები, ძმები, მამები, შვილები კაპიტალისტების წყალობით მილიონობით იყვნენ გაგდებული ბრძოლის ველზე. სიკვდილის კლანჭებში. სიკვდილი ოთხი წელიწადი ცელავდა უხვ სამკალს, მილიონი ახალგაზრდა თავის მშობლიურ კერას აღარ დაუბრუნდება, მილიონი დასახიჩრებულია, ასი ათასობით ქუჩაზე შეირყა; თქვენ კი მათი დები, დედები, ცოლები, შვილები, გალატაკებულნი, ოჯახდანგრეული, სდგახართ ახალ მოლოდინში კიდევ ასეთი მსოფლიო ომის ახალი მსხვერპლის წინაშე, რომელიც წინანდელზე უფრო საშინელი და სისხლის მღვრელია. ვაი იმ ქვეყნის მშრომელთ რომელიც დამარცხებული გამოვიდა ამ ომში! მაგრამ განა ამასვე არ განიცდიან ქალები „გამარჯვებულ“ ქვეყნებისა?

ყოველი ჩვენგანი ვალდებულია ჩაეწეროს და ჩადგეს ჩაგრულთა არმიის მწყობრში.

მთელი მსოფლიოს თითქმის ნახევარზე მეტი ქალები პოლიტიკურათ უთანასწორო არიან. კაპიტალიზმის ბატონობის დროს ქალი ვერასოდეს ვერ ეღირსება თანასწორობას. მხოლოდ კომუნისტური ინტერნაციონალის გამარჯვება უზრუნველყოფს ქალს, გაათანასწორებს მას მამაკაცთან, იხსნის მონობიდან, შექმნის ამხანაგათ და არა მონათ. არ მოგატყუოთ ბურჟუაზიის ხრიკებმა, მის მიერ გადმოგდებულმა უფლების ნაფლეთებმა—საარჩევნო უფლებამ; ამ უფლებით ისარგებლეთ თქვენი ძალღონის შესაკრებათ, გასაძლიერებლათ.

ჩვენი საერთო, უახლოვესი გარკვეული მიზანია—შექმნა საბჭოების რესპუბლიკის. არ შესწყვიტოთ ბრძოლა, სანამ არ შექმნით საბჭოების რესპუბლიკას თქვენს ქვეყანაში და როდესაც საბჭოთა რესპუბლიკა აღიმართება თქვენს ქვეყანაში, მხოლოდ მაშინ შეგიძლიათ მიიღოთ თანასწორი მონაწილეობა საბჭოების მუშაობაში; მხოლოდ ესენი არიან ჩაგრულთა განმანთავისუფლებელი.

ჩვენ გვაწვრილებს ეკონომიური უთანასწორობის გამო მძიმე მატერიალური პირობები. კომუნისტური ინტერნაციონალის გამარჯვება, სოციალისტური რევოლიუცია კი მოსპობს ამ ეკონომიურ უთანასწორობას. მისი გამარჯვება ჩვენი შრომის ნაყოფიერებას გაათრკეცებს, რადგანაც ჩვენ გვეცოდინება, რომ ვშრომობთ საკუთარი თავისთვის და არა ვიღაც მუქთახორებისთვის. ჩვენ გვაწვრილებს ოჯახის გაძღოლის ყოველდღიური ზრუნვა, ოჯახის გაჭირვება, ოჯახური აღზრდა. კომუნიზმის გამარჯვება მოგვცემს საშუალებას მოვაწყოთ საზოგადოებრივი აღზრდა ჩვენი შვილების, გაგვანთავისუფლებს ბიმე ბორკილისაგან არა სიტყვიერად არამედ საქმეზე, გვიხსნის სიბნელესა და ჩამორჩენილობისაგან.

რუსეთის გლეხის მუშა ქალებო! თქვენ მოახდინეთ უდიდესი რევოლიუცია. თქვენს საბჭოთა რესპუბლიკაში შესძლეს მოკლე ხანში შექნა ათასობით საბავშვო ბაღების, ბავშვთა თავშესაფარების და სასადილოების. თქვე იღებთ მონაწილეობას პარტიაში, საბჭოებში, პროფესიონალურ კავშირებში, სოფლის სამეურნეო კომუნებში. თქვენ გაკაფული გაქვთ გზა საზოგადოებრივი ცხოვრების ყოველივე დარგში. თქვენთვის არ არსებობს ის საძაგელი კანონები, რომელნიც საზღვრავენ ქალების უფლებას სხვა ქვეყნებში. და თუ თქვენ კიდევ იტანჯებით, ეს იმიტომ, რომ სხვა ქვეყნებში ვერ მოსპეთ ბურჟუაზიის, მემამულეების და ბანკირების ბატონობა.

ეს კი გიშლით ხელს რომ დაამთავროთ თქვენი ბრძოლა საზოგადოების სრულიად ახალ, კომუნიზმის, საფუძველზე გადასაკეთებლათ.

თქვენ ევროპის, ამერიკის, ავსტრალიის კაპიტალისტურ ქვეყნების ქალებო! კიდევ ბევრი უბედურება მოგელით, თუ არ ჩამოიშორეთ კაპიტალიზმის უღელი, თუ გვერდს აუხვევთ უდიდეს სოციალურ რევოლიუციის მოძრაობას.

თქვენ გაშინებენ რევოლიუციის აუცილებელ მსხვერპლით. მაგრამ გაიხსენეთ რაოდენი ხალხი დაიღუპა იმპერიალისტურ ომში, რამდენი კიდევ დაიღუპება, რამდენი საშინელება აგიტანიათ მის გადამკიდე, გაიხსენეთ და სთქვით: ჩვენ რომ 1914 წელში დაგვეჯერებია ლენინის, ლიბკნეხტის და სხვა კომუნისტური მოწოდებისათვის, ჩვენს ძმებს და ჩვენ თვითონ რომ გვეხმარა მოძმეების გასანადგურებელი იარაღი ომის ნამდვილი მიზეზების წინააღმდეგ, მსოფლიო ბურჟუაზიის წინააღმდეგ, მაშინ არ იქნებოდა ამდენი მსხვერპლი, არ შეგვაშინებდა ახალი ომების მოლოდინი და ვიქნებოდით თავისუფალი შვილები ნათელ კომუნისტურ სამეფოსი. კომუნისტურ ინტერნაციონალის მიზანია დაამხოს კაპიტალისტური მონობა მთელ დედამიწაზე; მან კარგათ იცის, რომ აღმოსავლეთის ხალხმა სხვაზე უფრო მეტად განიცადა დასავლეთ ევროპის და იაპონიის ყაჩაღ იმპერიალისტების მფლობელობის ქვეშ მძიმე უღელი კოლონიალურ გაყვლეფისა, და დამხობა კაპიტალიზმის მონობის—აი ერთად ერთი გზა აღმოსავლეთის მშრომელი მასსის განთავისუფლების.

და თუ აღმოსავლეთის ერები ყველაზე უფრო ჩამორჩენილი არიან, ეს აიხსნება იმ დაუზოგავი გაყვლეფით, რომელიც მათ ნორმალურ განვითარებას ხელს უშლის.

კომუნისტური ინტერნაციონალი მოუწოდებს აღმოსავლეთის ხალხს, როგორც საკუთარ მემამულეების და კაპიტალისტების წინააღმდეგ, აგრეთვე საერთო იმპერიალისტურ ჩაგვრის დამხობასკენ.—თუ თქვენ მშრომელნო ქალებო გსურთ იხილოთ თქვენი შვილები და თქვენი საკუთარი თავი თავისუფალი, თუ გსურთ დაამხოთ კოლონიალური და აღმოსავლეთის მონობა—თქვენი ადგილია ჩვენს კავშირში—კომუნისტურ ინტერნაციონალის კავშირში. მშრომელნო ქალებო მთელი ქვეყნისა!

გამოდით ქარხნებიდან, ქოხებიდან, სახელოსნოებიდან, ფაბრიკებიდან, მაღაზიებიდან, კანტორებიდან, საბრძოლველათ სრულ თავისუფლებისთვის—შემოკრბით კომუნიზმის დროშის ქვეშ!

გაუმარჯოს მესამე კომუნისტურ ინტერნაციონალს!“

**მუშა ქალთა პირველი საერთაშორისო კონფერეცია.**

---

ამხ. მუშა-ქალებო! «საქ. მუშა-ქალთა ფურცელი» თქვენი ორგანოა, თქვენი ინტერესების დამცველია. გაავრცელეთ ის სოფლისა და ქალაქის მუშა-ქალებში.

---

## საერთაშორისო მუშა-ქალთა მოძრაობა

საზღვარ-გარეთ

### სამხრეთ სლავია

(სერბია, ბოსნია, კროაცია და სხ.)

სამხრეთ-სლავიის მუშა-ქალების მდგომარეობა ისეთივეა, როგორც სხვა კაპიტალისტურ ქვეყნების. კაპიტალისტურმა ყვლეფამ არ დაზოგა მუშა-ქალი არც სერბიაში და არც სამხრეთ-სლავიის სხვა პროვინციებში. მაგრამ ზოგიერთ შემთხვევაში სერბიის მუშა-ქალის მდგომარეობა უფრო ცუდია, ვიდრე სხვა კაპიტალისტურათ განვითარებულ ქვეყნების მუშა-ქალის, რადგანაც სერბიის ნახევრათ კოლონიალურ მდგომარეობისა და პირობების გამო მუშა-ქალი ისე, როგორც მუშა კაცი ორნაირათ იყვლიფებიან: ერთი მხრით საკუთარ და მეორე მხრით დიდი სახელმწიფოების ბურჟუაზიის მიერ.

ჩვენმა ქალმა უკვე 15—20 წელიწადია, რაც შეიგნო შეკავშირებულ კლასთა ბრძოლის საჭიროება. მას თანდათან ესმის, რომ სხვა და სხვა მონობისაგან დაუზოგველ გაყვლეფისგან განთავისუფლება შეიძლება მხოლოდ ამხ. მუშა-მამაკაცებთან ერთად ბრძოლაში. ამით აიხსნება ის გარემოება, რომ სერბიის და სამხრეთ-სლავიის ქალები ხელი ხელ ჩაკიდებული იბრძვიან ამხ. პროლეტარებთან ერთად კაპიტალისტური წყობილების წინააღმდეგ.

ამ გაერთიანებულ, შეურიგებელ და ენერგიულ ბრძოლის მეოხებით 1914 წ. მათ აიძულეს სერბიის ბურჟუაზია, გამოეცა სერბიის მუშა ქალთა დამცველი კანონი.

ამ კანონით იკრძალება ქალის მუშაობა ღამით: ფაბრიკებში, სახელოსნოებში, სავაჭრო და სხვა დაწესებულებებში. შემოიღეს მაქსიმალური 10 საათის სამუშაო დღე, განუწყვეტელი დისვენება 36 საათით შაბათ-საღამოდან დაწყებული, ორშაბათ დილამდე; იკრძალება მშობიარე-ქალთა შრომა 6 კვირით მორჩენამდე და 6 კვირით მორჩენის შემდეგ.

ეჭვს გარეშეა, ასეთი ცვლილებები, იმ დროს 1911 წ. კაპიტალისტურათ განუვითარებელ სერბიისათვის იყო დიდი პროგრესი. მაგრამ სერბიის მუშა ქალი და მუშა-მამაკაცი ოდნავადაც არ აღიდებდენ ამ კანონების მნიშვნელობას და ერთ წუთსაც არ მიუტოვებიათ ბრძოლა თავის საბოლაოთ განთავისუფლებისთვის. ამ ბრძოლას ის ეწეოდა ომამდე და არ მიუტოვებია ომის დროსაც, რომელიც სერბიისთვის ფაქტიურათ გაგრძელდა 7 წელიწადს, 1912 წ.—1919 წლამდე; ის აგრძელებს თავის რევოლიუციონურ კომუნისტურ ბრძოლას ეხლაც, ომის შემდეგ, სოციალისტურ რევოლიუციის ეპოქაში.

1910 წლიდან ჩვენი პარტია სერბიის მუშა ქალთა სოციალისტურ მოძრაობისათვის სცემდა თავის ორგანოს „თანასწორობა“-ს („Еднакость“). ომის მიზეზით, და უფრო კი 3 წლის ოკუპაციის გამო, „თანასწორობა“ შეჩერდა, მაგრამ ამან ხელი არ შეუშალა ჩვენს რევოლიუციონერ—ქალებს, განეგრძოთ თავიანთი მუშაობა. აი რას სწერდა კლარა ცეტკინა ცნობილი სერბიის სოციალისტ—ქალის ტოპახევიჩის მოხსენების საპასუხოთ 1916 წ. დეკემბერში:

„ძვირფასო ამხანაგო! თქვენი მოხსენება და წერილი წარმოადგენს ჩემთვის, ისე როგორც სხვებისთვის, რომელნიც დგანან ინტერნაციონალურ სოციალიზმის საფუძველზე, საყურადღებო მოვლენას. ასეთივე მნიშვნელობა აქვს თქვენს წერილს რომელსაც მე დიდი მღელვარებით ვკითხულობდი. ამ დროს განმავლობაში თქვენ ალბათ მიიღეთ ცნობები, რომელიც დაგარწმუნებთ, რომ მუშა-ქალთა სოციალისტური ინტერნაციონალი სდგას სერბიის ხალხთან და სერბიის პროლეტარიატთან ერთად სოციალიზმის მკვიდრ ნიადაგზე, რომ ეს ინტერნაციონალი ღირსეულათ აფასებს იმ სიმძიმეს რომელიც ეღობება სერბიის ამხანაგებს სოციალისტური მოვალეობის ასრულებაში.

ყველა ქვეყნის სოციალისტი ქალები კმაყოფილებით მიესალმებიან იმ გარემოებას რომ მათ სერბიელ დებს, მიუხედავათ განმანადგურებელ ომის საშინელებისა მაგრათ უჭირავსთ ხელში სოციალიზმის წითელი დროშა.

მომავალი დააფასებს სერბიელ ამხანაგების სიმამაცეს და გამბედაობას.

გაუმარჯოს ინტერნაციონალურ სოციალიზმს!

გაუმარჯოს მუშა-ქალთა სოციალისტურ ინტერნაციონალს!

გაუმარჯოს მუშა-ქალთა სოციალისტურ მოძრაობას სერბიაში!

კლარა ცეტკინა.

ახლა კი, ცენტრალურ სახელმწიფოების დამარცხების შემდეგ, 1918 წ., მას შემდეგ, რაც დაარსდა სამხრეთ სლავიანთა სახელმწიფოები, ამ ქვეყნების მუშა-ქალთა მოძრაობა ვითარდებოდა არა ჩვეულებრივათ.

უკვე 21—23 აპრილს 1919 წ. პირველ მუშა ქალთა ყრილობაზე შემუშავებულ იქნა სამხრეთ სლავიის სოციალისტ-ქალთა ორგანიზაციის წესდება. ამ წესდებაში მუშა-ქალთა ორგანიზაციების საჭიროება დასაბუთებულია შემდეგნაირათ:

„თანამედროვე მდგომარეობა საჭიროებს გაერთიანებას ერთ მძლავრ პარტიაში, სამხრეთ სლავიის პროლეტარულ პარტიებში, რომელნიც დგანან კლასთა ბრძოლის თვალთსაზრისზე.

ამავე დროს დღის წესრიგში დგას საკითხი აქამდე პროვინციებში დაქსაქსულ მუშა ქალთა მოძრაობის ერთ სახელმძღვანელო ორგანოში გაერთიანების.

სამხრეთ სლავიის კომუნისტი ქალები სავსებით იზიარებენ ამ ქვეყნის კომუნისტურ პარტიის მაქსიმალურ და მინიმალურ პროგრამას, და სთვლიან თავიანთ თავს ამ პარტიის განუყოფელ ნაწილათ; ამავე დროს ისინი უარყოფენ მუშა ქალების ყოველ გვარ დამოუკიდებელ ორგანიზაციას და სთვლიან თავიანთ თავს სამხრეთ სლავიის კომუნისტური პარტიის აღმასრულებელ ორგანოთ მუშა ქალთა შორის აგიტაციის და გაერთიანების მოწყობის საქმეში“.

შემდეგ წესდებას გათვალისწინებული აქვს ცენტრალურ და პროვინციალურ სეკრეტარიატების მოწყობა.

1920 წლის მარტში ცენტრალურმა სეკრეტარიატმა განაახლა თავისი ორგანო „თანასწორობა“-ს გამოცემა და, აი, როგორ მიმართავს ეს გაზეთი პირველ ნომერში თავის მკითხველებს:

„ომის დაწყების შემდეგ, 28 ივლისს 1914 წელში, ჩვენი გაზეთის გამოცემა შეჩერდა. მსოფლიო ომის ტალღებმა წალეკა ხალხიც და მოძრაობაც. მძიმე კრიზისები გადაიტანა მთელ მსოფლიოს, და მეტადრე, სერბიის პროლეტარიატმა. ბევრი დღეს აღარ არის ჩვენს შორის იმათმა შესწირეს ყოველივე ჩვენს იდეალს და მოძრაობას. მიუხედავათ ყოველივე ამისა სამხრეთ სლავიის პროლეტარიატმა გმირულათ აიტანა ყოველივე გაჭირვება და წითელი დროშით ხელში გამოვიდა ამ შევიწროვებიდან მედგარი და სოციალიზმის იდეალებისათვის ერთგული.

ეხლა როდესაც რეაქციის შავი ღრუბლები გარს ახვევია სამხრეთ სლავიის პროლეტარულ მოძრაობას, ჩვენ ხელახლა ვიწყებთ ჩვენი ორგანოს: „თანასწორობის“ გამოცემას და მივაქცევთ მასზე ამხანაგების ყურადღებას.

მისი საშუალებით კომუნისტები გაავრცელებენ სამხრეთ სლავიის ქალაქებსა და სოფლებში რევოლიუციონური სოციალიზმის ბრძოლის იდეებს.

„თანასწორობა“ აწარმოებს განმანათლებელ მუშაობას ფიზიკურათ და ტვინით მომუშავე პროლეტარ-ქალებს შორის. ის გამოიყვანს მუშა-ძალას სიბნელიდან, რომელშიაც გადააგდო კაპიტალისტურმა საზოგადოებამ.

ამ საზოგადოებამ გახადა ის ყმათ, კომუნიზმი კი იხსნის მას ამ მონობის ბრჭყალებისაგან.

„თანასწორობა“ უჩვენებს მას გზას ნამდვილ თავისუფლების, სწორ-უფლებიანობის მოპოვების გზას.

სამუშაოზე მუშა-ქალები! ჩვენ უნდა მივიღოთ მონაწილეობა ბრძოლაში კომუნიზმისათვის, სოციალისტურ საზოგადოებისათვის და თანასწორ უფლებიანობისათვის“. მილ. ევიჩი.

## ჩვენში.

### ლანჩხუთი.

მივესალმებით ლანჩხუთის კომუნისტი ქალები. საქართველოს მუშა-ქალთა ფურცელს. და უსურვებთ მას, რომ ის მხარდა მხარ ამოდგომოდეს გვერდში ყოველ გვარ ბრძოლის დროს მის თანამოძმე მუშათა ორგანოს „ახალ კომუნისტს“ უსურვებთ, რომ არასოდეს არ დაეხაროს ძირს ის ბრძოლის წითელი დროშა, რომელიც მიზნათ ისახავს მშრომელ ქალთა და საერთო ყველა მშრომელთა განთავისუფლებას კაპიტალის ბრჭყალებისაგან.

ჩვენ იმედს გამოვსთქვამთ, რომ ამ ბრძოლაში გაუწევდიან ძმიურ ხელს მუშა მამა-კაცებიც და ხელი-ხელ ჩაკიდებულნი მივალთ სანეტარო აღთქმულ ქვეყანამდის, სოციალიზმამდის მაშ გაუმარჯოს საქართველოს მუშა ქალთა ორგანოს და მათ მუშა მამა-კაცებთან ყოველგვარ ბრძოლის ასპარეზზე შეერთებას და შეკავშირებას. ლან. მუშა-ქალები.

---

ამხ. მუშა-ქალებო იცოდეთ, რომ მშრომელ ქალთა ფურცელი იარსებებს მხოლოთ თქვენი იდეიური დახმარებით!

---

## მუშა-ქალთა პირველი საერთაშორისო კონფერენცია.

(გაგრძელება იხ. „ახ. კომ.“ № 47).

### მეორე სხდომა.

დღის წესრიგში დგას კითხვა: მესამე ინტერნაციონალი და მუშა-ქალი, მაგრამ ამ საკითხის განხილვამდე მოსმენილ იქნა მანიფესტის პროექტი, რომლითაც კონფერენციის გადაწყვეტილებით უნდა მიმართონ ყველა ქვეყნის მუშა-ქალებს.

ბევრი კამათი გამოიწვია მანიფესტის იმ ნაწილმა, რომელიც მიმართავს აღმოსავლეთის ქალებს, როგორც უფრო ჩამორჩენილ ჯგუფს და მოუწოდებს შეგნებულ ცხოვრებისკენ და ყოველგვარ სახის ჩაგვრის წინააღმდეგ საბრძოლველათ.

ინგლისის დელეგატმა ქალმა ამხ. ადლენმა შემოიტანა წინადადება, რომ ეს ნაწილი მანიფესტისა იქნეს ჩამოშორებული, როგორც შეურაცმყოფელი აღმოსავლეთის ქალებისთვის, და ამის მაგივრათ შეიტანონ მანიფესტში მათი ჩამორჩენილობის მიზეზების ახსნა.

თურქესტანის წარმომადგენელმა ამხ. კარიჩოვამ ამ საკითხის შესახებ წარმოსთქვა მეტად გრძნობიარე სიტყვა.

— მე მოვედი აღმოსავლეთიდან—და არ მაქვს წარმოდგენილი აღმოსავლეთის ქალზე უფრო საშინელი მდგომარეობა. ჩვენ უნდა განუწყვეტლივ მოვუწოდოთ მათ, ვაღვიძოთ, უნდა გამოვგლიჯოთ წარმოუდგენელ, ველურ მონობის კლანჭებიდან.

კიდევ რამოდენიმე დელეგატ-ქალს შემოაქვს ნაწილობრივი შესწორება და ბოლოს მანიფესტის პროექტი მიღებული იქნა.

ირჩევენ სარედაქციო კომისიას მის საბოლაოთ დასამუშავებლათ.

ამით თავდება დილის სხდომა.

(შემდეგი იქნება).

---

ამხ. მუშა-ქალებო! დაეხმარეთ თქვენს მესაიდუმლე და მებაირაღტრე ორგანოს: «საქ. მუშა-ქალთა ფურცელს»! გამოგზავნეთ კორესპონდენციები თქვენი ცხოვრებიდან! გამოგზავნეთ ცნობები ქალთა სექციების მუშაობის შესახებ! გახსოვდეთ, რომ თქვენი მესაიდუმლე იარსებებს, მხოლოთ თქვენივე დახმარებით!

მოიხადეთ თქვენი ვალი მის წინაშე!

---

დრ. რედაქტორი: ლ. სუხიშვილი

## განცხადებანი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიურო მოთავსებულია პასკევიჩის ქ. № 3, მეორე სართული, ტელ. 8—91.

ცენტრ. კომ. ბიურო ღიაა დილის 11—1 საათამდე და საღამოს 6—7 საათამდე.

ს. კ. პ. თბილისის საგუბერნიო კომიტეტის ბიურო მოთავსებულია პასკევიჩის ქუჩ. № 3, მეორე სართული. ტელ. 8—91.

ბიურო ღიაა დილის 9—2 საათამდე.

ს. კ. პ. თბ. პირველი რაიონის ბიურო მოთავსებულია ჩერქეზოვის ქუჩ., № 135.

ბიურო ღიაა საღ. 5—7 ნახ. საათამდე.

სტამბა „ეკონომია“ დიდი ვანქის ქ. № 3.